**№ 28** თებერვალი 7, შაბათი 1887 თებერვალი 7, შაბათი **№ 28**

ტფილისი

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ-გვარ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1887 წელიწადი

დღეს, 7 თებერვალს
ქართულს თეატრში დანიშნულია

## კონცერტი

ბ-ნ აღნიაშვილის
ქათულის ხოროსი.

კონცერტი სამის განყოფილებისაგან არის შემდგარი. თითო განყოფილებაში ხუთ-ხუთი ცალკე სამღერალია.

## ქართული თეატრი

კვირას, 8 თებერვალს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## თამარ-ცბიერი

ისტორიული-დრამატიული პოემა 4 მოქმედებად, თ. აკ. წერეთლისა.

II

## ბუტიაობა

ვოდევილი 1 მოქმედებად, თ. აკ. წერეთლისა.

მოთამაშენნი: ქქ. საფ.-აბაშიძისა, ანდრონიკოვისა, ლეონიძისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, ცაგარელი და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

---

ტფილისი, 6 თებერვალი

ბ-ნი ა. ს. ერმოლოვი, თუ არა ვცდებით, შარშან თუ შარშან წინ გამოგზავნილი იყო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან კავკასიაში აქაურის ღვინის კეთების საქმის სასწავლებლად და საცოდნელად. ბ-ნი ერმოლოვი კარგა ხანს ყოფილა იმიერ კავკასიის მხარეს, ყიზლარში და სხვაგან ჩრდილო-კავკასიაში, საცა ვაზი ჰხეირობს და ღვინო მოდის. ამიერ-კავკასიასაც სწვევია, მაგრამ ცოტას ხნით, როგორც გვახსოვს. ეგრეც უნდა ყოფილიყო, თუ თქვენც იტყვით: ამიერ კავკასიაში ვენახებიც ბევრია, ღვინოც ბევრი და კარგიც მოდის და ვისაც ღვინის კეთების ნახვა და გასინჯვა უნდა, აქ კი არ უნდა მომცდარიყო დიდის ხნით დაყოვნებითა, აქ-კი, საცა ბოდაზია ღვინისა, არ უნდა დაჰკვირვებოდა გასასინჯავად და საცოდნელად ღვინის კეთების საქმესა, არამედ იქ, საცა ჭყაპურტა ღვინო მოდის, «ჩიხირად» ცნობილი და საცა ყურძნის წვენის ღვინოდ ქცევისათვის ბევრი სხვა მასალაა კიდევ შესარევი და სამატი. მაგრამ კაცია და გუნებაო, ნათქვამია, ბ-ნ ერმოლოვს ასე უნებებია და ამიტომაც მისი ნაკვლევი, ნახული და ნაცადი უფრო ჩრდილო-კავკასიის ღვინის კეთებას შეეხება, ვიდრე სამხრეთისას.

28-ს ამ იანვრისას ერთს საზოგადოების კრებაში*) ბ-ნს ერმოლოვს ამ იმიერ-კავკასიის ღვინის კეთების საქმეზედ ულაპარაკნია. ჯერ ყველაზედ უწინარესს ბ-ნს ერმოლოვს შეუდარებია სიკეთე იმიერ-კავკასიის ღვინოებისა ამიერის ღვინოების სიკეთესთან და უთქვამს, რომ პირველ სახელ ამიერ-კავკასიის ღვინოებისად ცნობილია კახური ღვინო, მაგრამ ეს ტყუილი ბძანებააო, რადგანაც ამიერ-კავკასიის ღვინოები მრავალ-გვარნი არიან და ამათში კახური უფრო გავრცელებულიაო, ხოლო ეხლა სხვა გვარ ღვინოებსაც ბაზარი ეხსნებაო. უმთავრესი თვისება ჩრდილო-კავკასიის ღვინოებისა ის არის, რომ არავითარი განსხვავებული, განსაკუთრებული თვისება არა აქვთო და ამიტომაც შესაძლოა მათი მსგავსი ღვინო განგებაც გაკეთდესო (ПОДДѢЛКА); რა გემოსაც გინდათ, რა ფერსაც—ყველაფერს ითვისებს და იშვნევსო. ეს არ-თვისებობის თვისება, ბ-ნ ერმოლოვის სიტყვით, იმითია კარგი, რომ ჩრდილო-კავკასიის ღვინოები უფრო ადვილად შესაკეთებელია. თუ ცოდნით და კარგად შეკეთდებაო, იმისთანა ღირსებას მიიღებს, რომ სასიამოვნო იქნება იმათთვის, ვინც უცხო ქვეყნების ღვინოს შეჩვევიაო. ამიერ-კავკასიის ღვინო ბევრით უკეთესია ამიერისაზედ; იმიერ-კავკასიის ღვინო ღვინო-კი არ არის, მარტო ღვინის მასალაა, რომლისაგანაც შესაძლოა კაი ღვინის დაყენებაცაო და სხვანი-და-სხვანი ამ გვარნი. როცა ამაებსა და ამის მსგავს ჰკითხულობთ, ჰკვირობთ და გაოცებით ჰკითხავთ თქვენს თავს: ნუ თუ ამ გვარების ცოდნისათვის საჭირო იყო კავკასიაში წამოსვლა პეტერბურგიდამ? რად გარჯილა? განა ეს ცნობანი თვითონ პეტერბურგში კი ვერ მოიკრიბებოდა? მაგრამ ვინ იცის? იქნება ბ-ნმა ერმოლოვმა ბევრი იმისთანაც აღმოაჩინა ან ამიერ ან იმიერ კავკასიაში, რომელიც მარტო ადგილზევეა შესაძლო აღმოსაჩენად. თუ ესეა, ბრალი ჩვენის სამდურავისა იმ გაზეთს უნდა დაედვას, რომელმაც ჩვენ მარტო ამისთანა ცნობანი გადმოგვცა ბ-ნ ერმოლოვის ნათქვამისაგან.

ეს კია, რომ ბ-ნს ერმოლოვს ყურადღება მიუქცევია იმისათვის თუ,—რა არის საჭირო ღვინის კეთების წარმატებისათვის კავკასიაში. ოცი საგანი დაუსახელებია, რომლის ძალითაც შესაძლოა განკარგება და წარმატება ვენახისა და ღვინის კეთებისა და ღვინის აღებმიცემობისა კავკასიაში და ერთობ რუსეთშიაც. ამ ოც საგანთა შორის მოხსენებულია: სკოლების გამართვა, მაგალითებრ, ყიზლარში(?!), საცა უწინაც ყოფილა; ხაზინის ხარჯით, ანუ ხაზინის შემწეობით, დამართვა საწნეხელებისა, აგრეძვე სარდაფებისა, საცა უნდა მოგროვილ იქმნას ტკბილი ღვინის დასაყენებლად და საკეთებლად; გამართვა საწყობისა, საცა უკეთესი იარაღი ღვინის კეთებისა უნდა იყიდებოდეს, ყიზლარამდე (კიდევ ყიზლარამდე? აბა ღვინის ბოდაზი უპოვია ბ-ნს ერმოლოვს?) როსტოვ-ვლადიკავკასიის რკინის გზის გაყვანა და ღვინის გადატანის ფასის დაკლება, ყიზლარიდამ ასტრახანამდე ფოსტის გზის გახსნა, ნავთასვლა თერგსა და კუმაზედ, რისთვისაც საჭიროა ჩაღრმავება და ჩასწორება ამა მდინარეების ავალისა და სხვანი-და-სხვანი. ყოველივე ეს დიდის მოწონებით მიუღია პატივცემულს კრებას. კრებაში გამოჩენილან იმისთანა კაცნიც, რომელთაც ერთი მართლა ფრიად საჭირო და ადვილად აღსასრულებელი ღონეც დაუმატებიათ ბ-ნ ერმოლოვის მიერ წარმოთქმულ ზომათათვის ღვინის კეთების წარსამატებლად. უთქვამთ, რომ საჭიროა ღვინის მკეთებელთ ხელი მოეწყოთ ფულის მიშველებითაო და ამისათვის უნდა მიეცეთ კრედიტი როგორც კერძო, ისეც სახელმწიფო ბანკისაგანაო და ამას გარდა ვენახები შეიკრას (страхованіе) ფილოქსერისაგანაო. საეკონომიო საზოგადოების კრებას მიუღია ყველა ეს წინადადებანი და დაუდგენია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ყოველ ამისათვის.

ჩვენ, რასაკვირველია, არა გვშურს ყიზლარის ღვინის მკეთებელთათვის ყოველივე ეს სიკეთე, ღმერთმა ერთი ათად მეტიც მისცეთ, მაგრამ რაკი სიტყვა ღვინოზეა ჩამოგდებული, ნუ თუ ამიერ-კავკასია, რომელიც ყოველისფრით დედაა ღვინისა, დავიწყებული, გამოკლებული და სახსენებელი არ უნდა იყოს! ყურს ესმის და გონებას არა სჯერა ეს საარაკო ამბავი!..

---

*) 2-ое отдѣленіе Императорскаго Вольно-экономическаго Общества.

---

# ფელეტონი

## გაზაფხული

(ზელოვანს დ. ზ. განნამეს)

ვაზებს კვირტები ეშლებათ,
მწვანდება მთა და ბარია,
ტოროლა ცაში აფრინდა,
სიმღერა მორთო მტკბარია.

**

ცა შუქით მარგალიტსა სცრის,
ხან მზე გამოდის თბილია,
ზღვასავით ღელავს ჟეჟილი,
უფლისგან დალოცვილია.

**

გუთნები გამოიტანეს,
გადახნეს მთა და ველია;
აჭრელდა, ბიჭო, მინდვრები.
მკვდართათვისაც სანატრელია!

დ. მაჩხანელი

1886 წ.

## უცხოთა შორის

ზღაპარია თუ ნამდვილი?—ზესკნელი და ქვესკნელი.—„ქვესკნელი პარიჟი".—მიწა გასკდა და თან ჩაიტანა.—ამ ქალაქის ქუჩები და არხები.—ქვესკნელში მოგზაურობა წყლით და ხმელეთით.—მილები, პარიჟის მკვებავი ძარღვები.—როგორ სცხოვრობენ „ქვესკნელ პარიჟში".—ბედნიერი ადგილი.—ყველა ბუზი ბზუის.—ვინ არის ამერიკელი ედისონი?—უცნაური სტუმრობა და საოცარი სადილი.—ახალი სასწაულ-მოქმედება ელექტრონისა.—იუპიტერის სიტყვა.—მოჯადოებული მამალი, კომბოსტო და ყურძენი.—რა არ შესძლებია ადამიანის ჭკუას!

რას იფიქრებდით, მკითხველო, რომ მეთქვა თქვენთვის: არის ქვეყანაზე ისეთი ადგილი, სადაც არც ზაფხულია, არც ზამთარი, არც ძალიან ცივა, არც ძალიან ცხელა, არც თოვლი მოდის, არც წვიმა, არც ქარი იცის, არც დარი და არც დღე, და არც ღამე,—ერთის სიტყვით ისეთი ადგილი, სადაც მუდმივ ერთ-გვარი ჰაეაა, ერთ-გვარი სითბო და მუდმივ ერთ-გვარი სინათლე.

თქვენ, რასაკვირველია, არ დაიჯერებთ და იტყვით: სად იქნება ამისთანა საცხოვრებელი, ამისთანეები მარტო ზღაპრებში გაგვიგონიაო. დიახ, ბატონებო, და აი დღეს კი მე მართალს და არა ზღაპარს მოგითხრობთ.

ხომ გაგიგონიათ პარიჟი, საფრანგეთის გამოჩენილი დედა-ქალაქი? აი სწორედ ამ ქალაქშია ის საკვირველი ადგილი და ამაზედ მინდა გელაპარაკოთ. ხოლო იმ პარიჟში კი არა, რომელიც დედა-მიწის ზურგზე დგას;—არა აქ დიდი სიცივეც იცის, დიდი სიცხეც, აქ თოვლიც მოდის, წვიმაც, არც ქარები და ნიაღვრებია აქ იშვიათი,—ის ადგილი მეორე პარიჟშია, იმ პარიჟში, რომელიც პირველის ქვეშ მიწაშია. ამ პარიჟს „ქვესკნელ პარიჟს" ეძახიან. შეიძლება მთელი წელიწადი იცხოვროთ პარიჟში და «ქვესკნელი პარიჟი» კი ვერა ჰნახოთ. ეს პარიჟი, როგორც გითხარით, მიწის ქვეშ არის, დამალულია, და თუ ამის ნახვა გინდათ, უნდა საგანგებოდ ჩახვიდეთ და ჰნახოთ. ღირს კიდეც ამ უცნაურის ქალაქის ნახვა, საუცხოვო რამ ადგილია. არც ჩასვლაა ძნელი, სულ რამდენიმე წუთია საჭირო, რომ ერთი ქალაქიდგან მეორეში გადახვიდეთ, ზესკნელ პარიჟიდამ «ქვესკნელ პარიჟში» მოექცეთ.

* * *

აი მეიდანზე ერთი მოდიდო, ვაგონის მაგვარი ოთახი დგას. ოთახში ირგვლივ სკამებია ჩამომწკრივებული. ოთახი ხალხით არის გავსებული.

— მობძანდით, მობძანდით! ეხლავ წავალთ,—ისმის ვიღასიც ხმა.

ეს რა უცნაური ოთახია? სად აპირებს წასვლას?—ჰკვირობთ, ცნობისმოყვარეობა გძლევთ და შესდიხართ თქვენც ამ ოთახში.

აი უცბად მთელი ოთახი ხალხით დაიძრა და წავიდა ძირს, ქვესკნელს, თითქოს დედა-მიწა გასკდა და თან ჩაიტანაო. მისდიხართ ქვემოდ. ჩამობნელდა. ბნელაში ველარ გაგირჩევიათ, სადა ხართ და სად მისდიხართ. მაგრამ აი ოთახი რბილად რაღაზედაც დაენდო და შედგა. გააღეს კარები, თვალებში კაშკაში სინათლე გეცათ, და აი რას ჰხედავთ.

თქვენ წინა დგას მშვენიერი, დიდი სახლი; სახლ წინ ფართო ბაქანია, თლილის ქვით მოფენილი: ორთქლით-მატარებელი უსტვენს, ქშინავს, ხვნეშის; რკინის გზის ლიანდაგი სინათლეზე ბრწყინავს, იკლაკნება და შორს სიბნელეში სადღაც იკარგება; რკინის გზის მოსამსახურენი მოუსვენრად დარბიან, ერთს ფაცაფუცში და მზადებაში არიან. აგერ რკინის გზის ლიანდაგის იქით, ცოტა მოშორებით, თეთრად ვერცხლივით რაღაც ლაპლაპებს და ბრწყინავს: ეს წყალია. აქედამ იწყება მშვენიერი, წყლით სავსე არხი, რომლის ნაპირები თლილის, კლდის ქვით არის ამოშენებული. აგერ ელექტრონის ზარმა ქლრიალი დაიწყო,—მეორე სადგურიდამ ნიშანს აძლევენ, რომ მატარებელი წამოვიდაო.

მანამ მატარებელი მოვა, შესდიხართ სადგურში. დიდი, ფართო დარბაზი მშვენიერად არის მორთული და განათებული. სტოლებს ხალხი მოსხდომია და მოისმის მხიარული ლაპარაკი, სიცილი. ბუფეტი ხომ ისე გაჩალებული და გაჭკაშკაშებულია, თითქოს განგებ სადღესასწაულოდ მომზადებულაო. მერე რა გინდა სულო და გულო, რომ ამ ბუფეტში არ იყოს; რა სასმელები, რა საჭმელები გსურს, რომ აქ არ იშოვნო! სუფთად ჩაცმულნი და მორთულნი მსახურნი მწკრივად დგანან და თქვენს ბრძანებას ელიან, და ამასთან ცხელცხელ საჭმელებს ისეთი ოშხივარი ასდით, რომ მადაზე მოსდიხართ, და ჭამის სურვილს ველარ უძლებთ.

აი მთელი ეს ხალხი ერთბაშად აიშალა და გარედ გაეშურა: მატარებელი წასვლას აპირებს. გამოსდიხარ გარედ: ოთხი პატარა ვაგონი მზადა დგას. ორთქლით-მატარებელი თავისებურად ხვნეშის, ტოკავს, თითქოს ველარ მოუთმენია და გაქცევას აპირებსო.

# ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ამბავი, რომ ლეიპციგში გამოჩენილს წიგნთა-გამომცემელს ფრიდრიხს დაუბეჭდია და ამ ორის თთვის განმავალობაში, თუ ცოტა მეტ-ნაკლებ ხანში, გამოვა გერმანულად ნათარგმნი ლექსები ქართველთა პოეტებისა. ლექსები უთარგმნია ბ-ნს არტურ ლეისტს. წიგნში არის 16 ლექსი თ. გრ. ორბელიანისა; 7—თ. ალექ. ჭავჭავაძისა; 6—თ. ნიკ. ბარათაშვილისა; 10—ილ. ჭავჭავაძისა; 5—აკაკი წერეთლისა; 1—თ. გიორგი ერისთავისა; 2—თ. ვახტანგ ორბელიანისა; 3—თ. რაფ. ერისთავისა; 3—ბაჩანასი; 1—თ. მამია გურიელისა; 2—ვლად. მიქელაძისა და 32—საერო ლექსი. წიგნი კარგა მოზდილია და სულ 160 გვერდი უჭირავს. პირველს გვერდზედ პატივცემულს მთარგმნელს საკუთარი ლექსი დაუბეჭდია საქართველოს მიმართ. აი იგი ლექსი თითქმის სიტყვა-სიტყვით თარგმნილი:

„საქართველოს

შენს ცის ფირუზსა, შენს მზის სიცხოველეს, დიდებულ სიტურფეს შენის მინდვრების ყვავილებისას, შენის გაზაფხულის ნეტარებას, ლამის თილისმებით მოჯადოებულს საოცარ ხმაურობას შენის ტყეებისას, შენს მხიარულს იადონებს, შენის მთების უზარმაზარ სიდიადეს, შენს კეკლუც ქალიშვილებს ეს ფერადი კონა ფერადის ყვავილებისა მოვკრიფე შენის პოეზიის მთა-ბარის მინდვრებში და ძლვნად მოვართვი.“

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისის განათლებულ ახალ-გაზდობას განზრახვა აქვს დაარსოს ცალკე კლუბი, რომლის წესდება იმითი განსხვავდება სხვა კლუბის წესდებისაგან, რომ ამ კლუბში შეწყნარებული არ იქნება ქალალდის თამაშობაო. კლუბს უფრო ის დანიშნულება ექმნება, რომ გასართობი და სასარგებლო დროს გასატარებელი ადგილი იყოს აქაურ განათლებულ საზოგადოებისათვისაო.

*** ორშაბათს, 9 თებერვალს, 7½ საათზე დანიშნულია მორიგი კრება ტფილისის საქალაქო საბჭოსი. ამ კრებაზე საბჭო განიხილავს სხვათა შორის ხარჯთ-აღრიცხვის სიას 1887 წლისათვის.

*** ოთხშაბათს, 11 თებერვალს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ბ-ნის ვ. ალექსეევ-მესხიევისა. სათეატრო დასი წარმოადგენს „ჰამლეტს“, შექსპირის ტრაგედიას, რომელიც ახლად არის გადმოთარგმნილი ლექსად ბ-ნის ივ. მაჩაბლისაგან.

*** ვუშინ შუა-დღის უკან ცეცხლი გაჩნდა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბუხარში. ცეცხლი ჭვარტლს წაჰკიდებია და მალე გააქრეს.

*** 1886 წელს დეკემბერში ამიერ-კავკასიის რკინის გზით 82,826 კაცს უვლია. გზის გამგეობას აუღია ბილეთების ფასი 112,425 მ.—12 კ., ბარგი და სხვა-და სხვა სამხედრო საგანი 15,709 ფუთი გადაუტანია, ფული აუღია 5,185 მან. სხვა-და-სხვა საქონელი გადაუტანია 9,601,994 ფუთი და აუღია 756,852 მან. სხვა-და სხვა შემოსავალ ჰქონია კიდევ 5,283. სულ შარშან დეკემბერში ჩვენს რკინის გზის აუღია 879,746 მან., ხოლო შარშან წინ ამავე თთვეში აუღია 723,337 მან.

*** ბათუმიდამ გვწერენ: ამას წინად აქ საზარელი შემთხვევა მოხდა. დილის 12 საათზედ სამს მაჭმადიანს მოუვიდათ რაღაზედაც უსიამოვნობა. ერთმა აიღო და დანა დაჰკრა თავის ამხანაგს. ჭრილობა მსუბუქი გამოდგა. დაჭრილმა მაჭმადიანმა ამოიღო ხანჯალი და შეუტია დამჭრელსა: ჩვენში აგრე კი არ იციან კაცის დაჭრა, აი ასე იციანო, და დასცა ხანჯალი მუცელში. მძიმედ დაჭრილი მაჭმადიანი დაეცა ძირს და წელები გარედ გადმოუცვივდა. მესამე მაჭმადიანი, რომელიც აქამდე გაშტერებული იდგა და შესცქეროდა ამ ამბავს, რაკი სისხლი დაინახა, მივარდა ხანჯლით მკვლელს და ისე მძიმედ დასჭრა, რომ იმანაც იქვე სული განუტევაო.

*** სამეგრელოდამ უცნაურს ამბავსა გვწერენ: „ერთს აქაურს მცხოვრებელს კარგად დროულს კაცს ყმაწვილი ქალი ჰყავს ცოლად. ამ დროულმა კაცმა სხვა ქალი შეიყვარა და უმეტესად უფრო მასთან სცხოვრებს ხოლმე. ამას წინად ცოლმა მოიპატიჟა თავის სახლში თავის ქმრის საყვარელი ქალი და მუსაიფი დაუწყო; პატარა ხანს შემდეგ მიპარვით მიიტანა მაკრატელი და თავის ქმრის საყვარელს თმა მოჰკვეცა. გაოცებულმა ჰკითხა თურმე დამნაშავეს, რად მიყავი ასეთი საქმე, და ტირილი დაიწყო; დამნაშავემ უპასუხა: მე დიდი ხანია შენი ჯავრი მჭირდა და აქამდე ვერა მოგიხერხე-რაო. ეხლა თმა იმიტომ მოგკვეცე, რომ ჩემს ქმარს აღარ მოეწონები და შეგიძულებსო. ამაზედ თმაგაკრეჭილმა ქალმა საჩივარი შეიტანა და იმის ფასად ხუთას მანეთს თხოულობს. საქმე წარმოებაშია და ვნახოთ, რითი გათავდება“.

*** გაზ. „Моск. Вѣд.“-ი ამბობს, რომ სამხედრო ბეგარა ქუთაისის გუბერნიასა, შავის ზღვის ოლქასა და ბათუმისა და სუხუმის მხარეში, ოქუმის თემის გარდა, 1889 წლამდე არ იქმნება შემოღებულიო.

*** გაზ. „კავკასი“ ამბობს, რომ ტფილისის ებრაელებმა შეაგროვეს თავიანთ შორის 3 ათას მანათამდე ფული ძველის თორას გადასაკეთებლადაო. ეს თორა ამ ჟამად კათოლიკეთა ქუჩაზეა. აგროვებენ კიდევ 2 ათას მანათს ამავე საქმისათვისა. ებრაელები ასე აგროვებენ ყოველთვის ფულსა თურმე და შველიან ღარიბებსა და ობლებსა. სამადლოდ შეგროვილის ფულით ღარიბ ყმაწვილებს წერა-კითხვას და წიგნსაც ასწავლიანო.

*** ნიკიტინის ცირკს 4 იაპონელი დაუბარებია. იაპონელები მალე მოველენ და ცირკის წარმოდგენებში მიიღებენ მონაწილეობას.

*** ტფილისის საბებიო ინსტიტუტს უთხოვნია წელსაც შემწეობა საქალაქო გამგეობისაგან. ქალაქი აგერ თერთმეტი წელიწადია, რაც აძლევს ამ ინსტიტუტს სამოც-სამოც თუმანს წელიწადში. წელს გამგეობამ შეუთვალა ინსტიტუტის დირექტორს, რომ, ჩვენ არა ვიცით რა, სად და როგორ იხარჯება ჩვენი ფულიო. ინსტიტუტს ერობისაგან დიდი ფული ეძლევა და თუ საიმისო საჭირო არ არის ინსტიტუტისათვის, ჩვენს ფულს ისევ სხვა საქმეს მოვახმარებთო. (გაზ. «ნოვ. ობოზ.)

—

„ქართველთა - შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა:

„ბ-ნი გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი ხუთის წლის განმავლობაში ასრულებდა ერთგულად და უსასყიდლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ხაზინადრობის თანამდებობას, ხოლო ახლა გამგეობამ, მისის სურვილისამებრ, განთავისუფლა იგი ამ თანამდებობისაგან. გამგეობა აღნიშნულის საზოგადოებისა დიდს მადლობას უცხადებს ბ-ნ გიორგი დავითის ძეს ქართველიშვილს ხანგრძლივის მისის მოღვაწეობისათვის საზოგადოების სასარგებლოდ. მის მაგიერ არჩეულ იქმნა ხაზინადრად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა თ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე ფაველენიშვილი. ტფილისს გარეშე მცხოვრებთა გამგეობა სთხოვს, თუ რომ გამოსაგზავნი ჰქონდეთ რაიმე, გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Князю Димитрію Александровичу Павленову, при Земельномъ Банкѣ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ყველას გამოუცდია ცხოვრებაში, რა ძნელია მოლოდინი. ყოველ გვარს უბედურებას, განსაცდელს ასე თუ ისე აიტანს კაცი, ძნელია მხოლოდ შიში, მოლოდინი. და თუ ამ შიშს, მოლოდინს ზარალიც მოსდევს, მაშინ ხომ ისა სჯობია, რომ კაცს რაც მოელის, გადახდეს, ერთხელ მორჩება და მოისვენებს.

ჩვენ ყველა ეს აზრად მოგვივიდა ამ დაუბოლოვებელ ლაპარაკის და მზადების გამო ომისათვის. გაზეთები სუ ომზე ლაპარაკობენ, ბისმარკი პარლამენტს ეჩხუბება და ემუქარება, ყველა ომის მოლოდინშია, და ფულის პატრონები იღუპებიან. შემაძრწუნებელ ამბებს მოგვითხრობენ გაზეთები. აი, მაგალითად, რასა სწერს გაზეთი „Berliner Tagblatt“-ი:

> ას მილიონებით დაელუპათ გერმანიის ფულის პატრონებსა, ვაჭრებსა და მრეწველებს ამ ომის ამბების გამო. თვით უძლიერესი და დაუცხრომელი მტერი ვერ ავნებდა იმდენს გერმანიას, რა ზარალიც ბისმარკის და „ნაციონალისტების“ განხეთქილებამა და ჩხუბმა მოუტანა ჩვენს ერსა. მეტადრე საწყალ წვრილმან ვაჭრებს, ფულის პატრონებს მოუვიდათ ცუდი საქმე: თითქმის მთელი თავიანთი ქონება დაკარგეს იმათ ის წყალობით, ვინც ამდენს ყვირიან და ყველას აშინებენ, რომ ომი აუცილებლად იქმნებაო. რამდენი იყო იძულებული შიშის გამო, რომ სრულიად ხელ-ცარიელი არ დაგრჩეო, ბანკის ბილეთები ნახევარ ფასად გაეყიდა, გაქრობა მოესპო. ვინ უზღავს ამ საწყალ ხალხს ამ ზარალს? ფაბრიკებსაც ამის გამო საქმეები არა აქვთ, მუშა ხალხი უსაქმოდ რჩება,—ვის უნდა მოეკითხოს ყველა ეს, საიდამ უნდა ეშველოს ამ საქმეს?

ვისი ბრალია ყველა ეს? ვინ უნდა ჩაითვალოს ამ საქმეში დამნაშავედ?

გაზეთი ყველაფერს „ნაციონალ-ლიბერალებს“ აბრალებს, იმ „ლიბერალებს“, რომელნიც, გაზეთის

---

უყურებთ ყველა ამას და სრულიად გავიწყდებათ, სადა ხართ: თქვენ სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ ღამეა და სადღაც რკინის გზის სადგურზე ვართ. მაგრამ ზემოდ, ცის მაგიერ, ქვით გადაელებულს თაღსა ჰხედავთ, და მარტო მაშინ კი გაგონდებათ, რომ სადღაც უცნაურს ქვესკნელში ბრძანდებით.

***

დაიძრა მატარებელი, შევარდა გვირაბში და მიაქვს გრიალი დაუსრულებელ ხვრელში. აქედ-იქით კიდევ სხვა გვირაბები გადის, მაგრამ მატარებელი არც ერთში არ უხვევს, მიდის სულ პირ-და-პირ. ეს გვირაბი თავი ძარღვია, დანარჩენი—პატარა ქუჩები ქვესკნელისა.

გზის ორსავე პირას, აქედ-იქით მოჩანან კედლებში გამოჭრილი პატარა სახლები. ეს სახლები რკინის გზის და საზოგადოდ ქვესკნელ ქალაქის მუშა ხალხის სადგურებია. ამ სადგურებს გარდა ამასა სხვა დანიშნულებაცა აქვთ. თუ ვინიცობაა ქვესკნელში რაიმე უბედურება მოხდა,—ვსთქვათ, მაგალითად, ან ზემოდგან წყალმა ჩამოხეთქა, ან საიდგანმე ნიაღვარი მოვარდა,—მუშებს შეუძლიანთ ამ სახლებში თავი შეაფარონ და სიკვდილს გადარჩნენ. სახლებს კარები ისე აქვთ მოწყობილი, რომ თუ კი დაკეტვა მოასწრეს, აღარაფრის შიში არა აქვს აქ შეფარებულს. მერე აქედამ კიბეებია ამოყვანილი, და კაცს შეუძლიან ზემოდ ცის სინათლეზე ამოვიდეს.

არა ნაკლებ ჰკვირობ, როდესაც პირველად მისდიხარ ამ მატარებელით და ჰხედავ, რომ მარცხნივ და მარჯვნივ კედლებში გამოყვანილია უზარმაზარი, გამობერილი, მრგვალი მილები, რკინისა, თუჯისა, სპილენძისა, თუნუქისა და ბევრი სხვა ამ გვარები.

ამ მილებს რაღა დანიშნულება აქვთ და ან ამ ქვესკნელში რად გაუტარებიათ?—ეს მილები დიდს სამსახურს ასრულებენ, ეს მილები წყურვილს უკლებენ მთელს პარიჟს, ეს მილები მთელის პარიჟის მოამბენი არიან. ერთს მილში ტელეგრაფის მავთულებია გაყვანილი და ამ მავთულებით დეპეშები მიდის და მოდის; მეორეში გატარებულია მავთულები ტელეფონისა, ე. ი. იმ მანქანისა, რომლის შემწეობით კაცს შეუძლიან შორის მანძილიდამ მეორეს ხმა მიაწვდინოს და მოელაპარაკოს. სხვა დიდ ქალაქებში ეს მავთულები სხვა გვარად არის მოწყობილი: ან ბოძებზეა გაყვანილი, ან ბანებზე. ერთსაც და მეორესაც, რასაკვირველია, ბევრი წუნი აქვს: ბოძები ქუჩებს აუშნოებს და ბანებზე გადასვლა-გადმოსვლა-კი ძნელია და ხშირად მოუხერხებელიც, მერე ექვს-შვიდ სართულიან სახლების ბანებზე. გარდა ამისა, ზამთარში, ყინვის დროს, გაჭიმული მავთული ხშირად წყდება, დიდ ქარში, ტელეფონის მავთულში, მაგალითად, ხმა გარკვევით არ ისმის, ელვა-ჭექის დროს ხომ ტელეგრაფის მავთული სრულიად აღარ მოქმედობს.

აი იმ დედა-მიწაში კი დაწყობილ მილებში ადვილადაც გაჰყავთ მავთულები და ისე კარგადაც არიან შენახულნი, რომ ვერც ქარი, ვერც ყინვა, ვერც მეხი ვერას ავნებს.

აი კიდევ ერთი დიდ-მუცელა, გაბერილი თუნუქის მილი. ეს მილები წიგნების დამტარებლების მაგიერობას სჩადის. პარიჟის თითქმის ყველა უბანში გამართულია ფოსტის სადგური. ეს სადგურები ერთმანეთთან ამ გვარის მილებით არის შეერთებული. სადგურში მიაქვთ წერილები და სხვა პატარა გასაგზავნი ნივთები და ჰყრიან ამ გვარ მილში. აქვე მოწყობილია ერთ-გვარი ჰაერის შემკუმშველი მანქანა. ეს შეკუმშული ჰაერი აწვება ლულის პირს და ერეკება მეორე სადგურში წერილებს და ნივთებს. აქედამ კი ადვილია ახლო-მახლოს დატარება წერილებისა და ნივთებისა.

***

ჩვენ ცოტა შორს წავედით. დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მატარებელს. მატარებელი ისევ გვირაბში მირბის. აგერ ზემოდამ რაღაც გრიალი, გვრგვინვა ისმის, თითქოს დედა-მიწა, ეს არის, უნდა ჩამოიქცეს, ჩამოწვეს და პატარა მატარებელი ქვეშ მოიტანოსო. შიში არა აქვს, თაღი მაგრად არის შეკრული ამ ადგილას ყოველთვის ესეთი გრიალი და გვრგვინვაა. ეს გვრგვინვა იმისია, რომ მატარებელი სწორედ იმ ადგილას არის ამ დროს, რომლის ზემოდ პარიჟის ბულვარებია და დიდი მოძრაობაა ეტლებისა, ცხენის რკინის გზებისა და ხალხისა.

აი მატარებელი მეორე სადგურთან მივიდა. ამ დროს ხმაურობა და მუსიკის მშვენიერი ხმა მოისმა. ამ რკინის გზის სადგურთან გამართულია პატარა ნავთსადგურიც. აქ ახლო მოდის ის არხი, რომელიც ჩვენ პირველ სადგურზე ვნახეთ. ამ არხში პაწია ხომალდები დადის. ამ ხომალდზე მთელი საზოგადოება შეყრილა და მუსიკით დასეირნობს ქვესკნელში. ხომალდი პირველ-სადგურისკენ მიდის. დავანებოთ ჩვენც მატარებელს თავი და გადავსხდეთ ხომალდზე.

მუსიკა რაღაც მხიარულ სიმღერას უკრავს, თაღი ბანს აძლევს, ხმა ჰაერში არ იფანტება და ამიტომ მუსიკის ხმა უფრო მაღალი, ხმაინი გამოდის, თითქოს რაღაცა გვრგვინავსო.

არხში წყალი სუფთაა, წმინდა და სასმელადაც საუცხოვო. წყალში ბლომად არის თევზი, თუმცა საწყლები უსინათლონი კი არიან, რადგან მზის სინათლე ამ ქვესკნელს არასოდეს არ მიეკარება. მაინც ქვესკნელის ყველა ბუფეტებსა და სასტუმროებში ამ თევზსა ხმარობენ და კარგა გემრიელიც არის.

ამ ქვესკნელის წყალსა ხმარობს სასმელად მთელი პარიჟი. აი ამისთვის არის გამართული ის დიდრონი სპილენძის ლულები, რომელიც კედლებშია გამოყვანილი. ამ ლულებს სხვა ლულები აქვთ ზედ მოკიდებული და ამ გვარ ლულებით მთელი პარიჟი ბადესავით არის მოფენილი. ამ სახით ყველა სახლს ამ ქვესკნელიდამ მისდის წყალი. ამიტომაც ეს წყალი ასე სუფთად შენახულია. ზემოდამ აქ მარტო წვიმისა და თოვლის წყალი ჩამოდის. ნარეცხი, ჭუჭყიანი წყალი ან სხვა უწმინდურება ქვესკნელს ვერ ჩამოატანს. ამის გულისთვის აი რა ხერხია მოგონილი. როცა „ქვესკნელ პარიჟის“ ქუჩებში, ე. ი. გვირაბებში დასდიხართ, ჰხედავთ, რომ თაღზე ჩამოკიდებულია ანთებული ფარნები და ზედ ნომრებია დაწერილი. ეს ნომერი სწორედ იმ სახლისაა, რომელიც ამ ადგილას ზემო პარიჟში დგას. თუ,

სიტყვით, „ჭეშმარიტ მამულის შვილებად, გერმანიის ერთგულ მეგობრებადა“ სთვლიან თავიანთ თავსა.

ჩვენ, ჩვენის მხრით, ვიტყოდით, რომ ბისმარკი, თავის ორ-პირულის საქციელით, არა ნაკლებ დამნაშავეა ამ საქმეში, მაგრამ ამით საქმეს არა ეშველება-რა ბისმარკია მიზეზი, თუ „ლიბერალები“,—სულ ერთია, საქმე იმაშია, რომ მინამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავს გააძრობენ კიდეცა. ნუ თუ ესეთი მშვიდობიანობა სასურველია?!.

⁂

გაზეთ „Московскія Вѣдомости“-ში დაბეჭდილია საყურადღებო სტატისტიური ცნობები, — რომელს სახელმწიფოს რამდენი ფული დაუხარჯავს რკინის გზების გასაკეთებლად.

ჩრდილოეთ-ამერიკას დაუხარჯავს 34 მილიარდი (მილიარდი ათასი მილიონია), ინგლისს—19 მილიარდი, საფრანგეთს —18 მილიარდი, გერმანიას—11 მილიარდი, ავსტრიას—7 მილიარდი და 9 მილიონი, რუსეთს—6 მილიარდი და რამდენიმე მილლიონი.

ამ ფულს რომ ისიც მიუმატოთ, რაც სხვა ერებს დაუხარჯავთ ამავე საგანზე, ისეთი ჯამი შედგება, რომ კაცი დათვლასაც ვერ შესძლებს. ერთს ინგლისელს გამოუანგარიშებია ეს აუარებელი ფული და აი რას ამბობს: ყველა ეს ფული რომ ოქროდ გადიქცეს, იმოდენა შედგებოდა, რომ ოთხი ზედი-ზედ მობმული ორთქლით-მატარებელი ძლივს მოერეოდა და დასძრავდაო.

⁂

იმავე გაზეთში მოყვანილია მეორე საყურადღებო ცნობები ექიმების რაოდენობის შესახებ. ერთს ცნობის-მოყვარე კაცს გამოუანგარიშნია,—რომელს სახელმწიფოს რამდენი ექიმი ჰყავს. აი ამ ანგარიშიდგან რა აღმოჩენილა:

ინგლისში, სადაც 35 მილლიონი მცხოვრებელი ითვლება, 25,810 ექიმი ყოფილა, ესე იგი 7,350 კაცზე ერთი ექიმი მოდის; საფრანგეთში ერთი ექიმი 1,400 კაცზე მოდის; ავსტრიასა, გერმანიასა და ნორვეგიაში—1,500 კაცზე; ჩრდილოეთ-ამერიკაში ერთი ექიმი სულ 600 კაცს მოსდის, რუსეთში კი ერთი ექიმი—6,226 კაცზე.

განა რომ საყურადღებო ცნობებია!

## უცხოეთი

**ბოლგარია.** აღმოსავლეთ-რუმელიაში შიშიანობის წესი უნდა გამოცხადდესო.

— ბოლგარიაში რუსეთის მომხრე დასი იმ აზრისაა თურმე, რომ 6 კაცს ბოლგარიიდგან გადეგნა და 12 კაცს დასჯა და დატუსაღება კმარა, რომ მთელი ბოლგარია რუსეთს დამორჩილდეს და წინააღმდეგობა აღარ გაუწიოსო.

— გაზეთი „თავისუფალი ბოლგარია“ დარწმუნებით ამბობს, რომ სარეგენტო მთავრობამ ბოლგარიისამ და თვით მკვიდრთა გარდასწყვიტეს, ბოლგარიის ყველა ქალაქებში კერძო კომიტეტები დაარსონ იმ სხვა სახელმწიფო ქვეშევრდომთა დასაპატიმრებლად, რომელნიც ბოლგარიაში სცხოვრობენ და მკვიდრთ გულს უცვლიან მთავრობის წინააღმდეგაო.

— გაზ. „Kreuzer Zeitung“-ი ამბობს, რომ კაულბარსი ჩქარა ისევ დაბრუნდება ბოლგარიაშიო.

— სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Vossische Zeitung“-ს, რომ ბოლგარიის მთავრობამ ოსმალეთს შემდეგის შინაარსის წერილი მისწერაო: რეგენტები და მინისტრები ბოლგარიისანი მხოლოდ მაშინ გადადგებიან სამსახურიდგან და თავიანთ ადგილებს დიდ საერო კრებას ჩააბარებენ, როდესაც აღმოსავლეთი რუმელია და ბოლგარია საბოლოვოდ შეერთებულნი იქმნებიან და როდესაც რუსეთი სამეგრელოს თავად ნიკოლოზის მაგივრად სხვა ახალს და უფრო შესაფერ კანდიდატს დაასახელებს თავის მხრივო.

— სტამბოლიდგან დეპეშით სწერენ პარიჟის გაზ. „Libertè“-ს: აღმოსავლეთის საქმე თან-და-თან უფრო-და-უფრო მწვავდება. რუსეთის სურვილი ის არის, რომ ბოლგარიის რეგენტები სამსახურიდგან გადადგნენ და ბოლგარიის რეგენტები-კი ამის წინააღმდეგნი არიან და არ ანებებენ სამსახურს თავსა. ყველა ეხლა იმასა შიშობს, რომ რუსეთი მოთმინებიდგან არ გამოვიდეს და ძალ-მომრეობის საშუალებას არ მიჰყოს ხელი ბოლგარიის კერპის მმართველების მოსარჯულებლად და დასაყოლიებლადაო. ამასთან გერმანია აღმოსავლეთის საქმეში რუსეთის თანაზიარია, თანაუგრძნობს და, თქმა არ უნდა, რომ არც ერთს სურვილს რუსეთისას წინ არ გადაეღობებაო. ავსტრია-ვენგრია-კი ჯერ-ჯერობით მოლოდინის პოლიტიკას ადგას და შორიდგან შესცქერის ბოლგარიის გამწვავებულს საქმესაო.

— ბერლინელი კორრესპონდენტი «Morning Post»-ისა ამბობს, ვითომ ოსმალეთის ელჩმა სადულლახ-ფაშამ გამოაცხადა, რომ ბოლგარიის საქმე ოსმალეთში ჩქარა დაბოლოვდებაო და, როგორც ეტყობა, მშვიდობიანადაც დაბოლოვდებაო.

**საფრანგეთი.** ყოველ-დღე მოდის ამბები საფრანგეთიდგან, რომ საფრანგეთი საომრად ემზადება და იჭურვება. ეხლა ამბობენ, რომ ვერდენში სამხედრო აეროლების ქარხანა უნდა დაარსდეს და შემზადდეს 200,000 ყუმბარა მელინიტისა. საფრანგეთის მთავრობა ჯარისთვის ისე ჩქარობს სადგურების აშენებას, რომ ღამე-კი ელექტრონის სინათლეს ხმარობენ და მუშაობენო.

— ბულანჟე ვერდენსა და ამანვეილერში ყოფილა, გერმანიის საზღვარზე. ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, რომ ბულანჟე არამც თუ მარტო გერმანიის საზღვარზე, თვით გერმანიის მიწა-წყალზედა ყოფილა და იმათი სიმაგრენი დაუთვალიერებიაო.

— საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ფლურანსი ამ ჟამად იმას ზრუნვაშია თურმე, რომ საფრანგეთი და იტალია შეკავშირდნენ და დაუახლოვდნენ ერთმანერთსაო.

— გაზ. «Kölnische Zeitung»-ი ამბობს: პეტერბურგში საფრანგეთის საკონსულოში განცხადებაა გამოკრული, რომ ყველა საფრანგეთის ქვეშევრდომნი, რომელნიც ჯარში არიან გაყვანილნი და დროებით დათხოვნილნი მთავრობის მიერ, გამოცხადდნენ საკონსულოში და მოემზადნენ ჯარში წასასვლელადაო. „Pall-Mall Gazette“ დასძენს ამ ამბავს, რომ ლონდონში საფრანგეთის საკონსულომაც ეგრეთივე განცხადება გამოაკრაო.

**ავსტრი-ვენგრია.** ვენაში ძალიან შიშობენ თურმე იმის გამო, რომ ომი აუცილებელიაო. დიპლომატიურს წრეებში დღითი-დღე მოელიან, რომ ეს არის ეხლა ან იქ და ან აქ თოფი მოიღებს გრიალსაო. ბირჟაზე მეტად დაიწია ქაღალდების ფასმაო. პოლიტიკოსები და ფინანსისტები იმ აზრისანი არიან, რომ ამ ბოლოს დროს საფრანგეთისა და გერმანიის შორის საქმეები ისე აირია, რომ ძნელად შეატყობს კაცი, ომს უნდა მოველოდნეთ, თუ მშვიდობიანობასაო. მაინც-და-მაინც, ჩვენის აზრით, ძნელად თუ მშვიდობიანობას დარჩეს გამარჯვებაო.

— ვენგრიის ფინანსთა მინისტრი გრაფი საპარი სამსახურიდგან [illegible] გამოსულა. საპარის მოადგილედ თვით ტისსა იქმნებაო, და შინაგანთა საქმეთა მინისტრის პორთფელი-კი დროებით გრაფის ორმისათვის მიუნდვიათ.

**ინგლისი.** გაზ. „Politische Correspondenz“-ის სიტყვით, ინგლისის სამინისტროს ერთს წევრს აი რა უთქვამს ამ გაზეთის კორრესპონდენტისათვის: ტყუილია ის ამბავი, ვითომ ბისმარკი საფრანგეთთან ომს იყოს მოწადინებულიო. ჩემის აზრით, თუ ბოლგარიის გამწვავებულის საქმის გამო ბრძოლა ასტყდა, გერმანია გულ-ხელ-დაკრეფილი ვერ დაუწყებს ცქერას ამ ბრძოლას; და თუ გერმანია ბოლგარიის საქმეში ჩაერია, ძნელად თუ საფრანგეთს [illegible] და არ დაეცა ბოლგარიის საქმეში გართულს გერმანიას. თუ ესე მოხდა, როგორც მე ვთქვი, მაშინ ინგლისს დიდი ზიანი მიეცემა, თუ გინდ სულაც არ ჩაერიოს ამ საერთო ბრძოლაში. ეს არის მიზეზი, რომ ამ ჟამად ლორდ სალისბერი ბოლგარიის საქმის გადაწყვეტასა ცდილობს და ამ საქმეს თავის მხრივ ზოგიერთს მსხვერპლსაც სწირავსო.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემს მოკლე შენიშვნას თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ჩემდა სამწუხაროდ, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, მხოლოდ დღეს მომეცა შემთხვევა წამეკითხა მესამე ნომერი თქვენის გაზეთისა. პატივცემულის ავტორის მიერ სტატიისა „ჩვენი სისუსტე“ მე შეცდომით ვიწოდები უნივერსიტეტის პროფესორად.

ვალად ვრაცხ გამოვაცხადო, რომ მე არსად პროფესორად არა ვარ.

თქვენი მორჩილი გ. თარსაიძე

ხარკოვი, 30 იანვ.

### საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

წერილი 2-რე

Археологич. путешествіе по Гуріи и Адчарѣ. დ. ბაქრაძისა, ატლასით დაბეჭდილი, პეტერბურგის იმპერ. სამეცნიერო აკადემიის მიერ 1878 წ. ფასი 2 მან.

(დასასრული *)

ეს აწინდელნი მკვიდრნი ამა ქვეყნისანი: შავშეთ-აჭარელნი, ლაზნი ზნით, ჩვეულებით, ენით სრულიად მიემსგავსებიან და არ გაირჩევიან ქართველ-მეგრელებისაგან. ეს მკვიდრნი თვითონვე აღიარებენ თავის გურჯობას, ქართველობას, მხოლოდ ქართველთა და მათ შორის განსხ-

---

*) იხ. „ივერია“ № 26.

---

ვინიცობაა, ამ ადგილას რაიმე უწმინდურებამ ჩამოქონა, მაშინვე სახლის პატრონს ატყობინებენ, და ესეც მოვალეა დაუყოვნებლივ უპატრონოს და გააკეთოს რაც არის გაფუჭებული. ამ სახით ქვემო პარიჟი თვალს ადევნებს ზემოს და აფრთხილებს, რომ სახლში უსუფთაობა არ იყოს.

ხომალდი მუსიკის კრით, ხალხის ხმაურობით და ერთის ამბით მოვიდა სადგურთან. დაიცალა თუ არა ხომალდი, მაშინვე მეორე რიგობამ დაიჭირა, რომელიც სადგურზე ელოდა ხომალდსა. ამ გვარად დასეირნობენ პარიჟელები თავიანთ „ქვესკნელ პარიჟში“ ზოგნი წყალზე, ზოგნი ხმელზე.

როგორც ზემოდ ვსთქვით, ამ ქვესკნელ ქალაქში არცა ცივა ძრიელ, არცა ცხელა. არა ცივა იმიტომ, რომ აქ არც ქარი იცის, არც წვიმა და არც თოვლი. არა ცხელა, რადგან ქვესკნელი ისეა მოწყობილი, რომ წმინდა ჰაერი ზევიდამ მუდმივ მუშაობს, ყველგან თავისუფლად ტრიალებს, ჰწმენდავს აქაურს დახშულს ჰაერს. ამიტომაც ამ ქვესკნელში სული არ უმძიმდება კაცს და ჯან-მთლადა ცხოვრობს: არ იცის არც გაციება, არც სურდო, არც სხეულის მომშლელი სიცხე. ბედნიერი ქალაქია!

ეხლა ხომ დაჰრწმუნდით, რომ ყველა ზემოდ ნათქვამი ნამდვილია და არა ზღაპარი?!

⁂

ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან კი ბევრი ტყუისო. დიდად მოხერხებული ხალხია ფრანგები, ბევრი რამ გამოსდით ხელიდამ, ბევრი უცნაური და საოცარი რამა აქვთ მოგონილი,— აი ქვესკნელშიაც კი მთელი ქალაქი გაუშენებიათ,—მაგრამ ამერიკელებთან კი მაინც ვერ მოელენ, ამერიკელებს უცნაურობის მოგონებაში ვერავინ შეედრება, ვერავინ აჯობებს.

იქნება გაგეგონოთ გამოჩენილის ამერიკელის ედისონის სახელი? ეს ის ედისონია, რომელმაც ელექტრონის სანთელი მოიგონა, ის ედისონია, რომელმაც ისეთი კედელზე გასაკვრელი ქაღალდი მოამზადა, რომ ღამე თავის თავად ანათებს, ასე რომ ოთახის გასანათებლად სანთელი იქნება აღარც კი იყოს საჭირო. ვინ ჩამოსთვლის ყველაფერს, რაც ამ კაცმა სასწაულ-მოქმედება ჩაიდინა ამ ელექტრონის შემწეობით! მაგრამ რასაც დღეს ამ კაცზე მოგვითხრობენ, ის ხომ ზღაპართ ზღაპარსა ჰგავს. ის, რაც ამ კაცს ამ ხანებში ელექტრონის შემწეობით მოუხერხებია, რაღაც ჯადოსნობასა ჰგავს, რაღაც საარაკო ამბავს თილისმებისას, ჯადოებისას მოგვაგონებს.

საოცარი სტუმრობა ჰქონია ედისონს ამ დღეებში. ედისონს სადილი გაუმართავს და ოციოდე თავის ახლო მეგობრები მოუწვევია სტუმრად.

მაგრამ სტუმრობაც არის და სტუმრობაც. ყველა მასპინძელს არ შეუძლიან ასე დაუხვდეს, ასეთი უცნაური საკვირველი სანახავები აჩვენოს თავის სტუმრებსა.

მისულან თუ არა სტუმრები ედისონის სახლში, კარები თავის თავად გაღებულა, თითქოს რაღაც თილისმამ და ჯადომ იმოქმედაო. შესულან სახლში და ყველა ნაბიჯზე თითო რამ სასწაული დაჰხვედრიათ. ყველა ოთახებში მთელი კედლები თავით-ბოლომდე აჭრელებული იყო კედელში ჩასხმულ დუგმებით და ობობას ქსელივით მავთულებით დახლართული. რომელ დუგმასაც კი დააჭერდა სტუმარი თითს, სულ სხვა-და-სხვა, ერთი მეორეზე საკვირველი და გასაოცარი, სანახავი წარმოუდგებოდათ ხოლმე თვალ-წინ. დაჯდებოდა თუ არა ვინმე მდივანზე, მაშინვე სასიამოვნო მუსიკის ხმა მოესმოდა. ერთ სკამზე დაჰჯდებოდი, მაშინვე სადილის საჭმელ ოთახში გაგასრიალებდა; მეორეზე დაჯდებოდი,—სკამი მაშინვე გადიშლებოდა და რბილ საწოლ ლოგინად გადიქცეოდა; მესამე სკამი კიდევ უცბად ორ-თვლიან მატარებლად გადაიქცეოდა და წინ ორი ელექტრონის ფარანი აკაშკაშდებოდა. სასადილო ოთახში ქვისაგან გამოქანდაკებული სურათი იდგა რომაელების ღმერთისა, იუპიტერისა. იუპიტერი გასაოცრად იყო მოწყობილი. ედისონს ისე მოეხერხებინა, რომ იუპიტერისთვის რაღაცა უცნაურად, მალულად ფონოგრაფი გაეკეთებინა. ფონოგრაფი ის ახლად მოგონილი მანქანაა, რომელსაც რასაც ჩასძახებ, ტყვიის ქაღალდზე აჭდევს, და მერე, თუნდა რამდენისამე წლის შემდეგ, რომ მოჰმართო, რაც ნათქვამი გქონდათ, ეს მანქანა ქვევრივით უკან ამოგძახებთ და ამოგძახებთ მკაფიოდ, გარკვევით, იმავე ხმით და კილოთი, რა ხმითა და კილოთიც ჩაუძახნიათ.

აი ამ მანქანით, ფონოგრაფით, იყო შიგნით მოწყობილი იუპიტერი და სადილის დროს გაქვავებულმა ღმერთმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. რა თქმა უნდა, რომ ეს სიტყვა წინად ჩაძახილი იყო და ედისონმა ამოაძახებინა თავის დროზედ. საჭმელებიც და სასმელებიც ელექტრონის შემწეობით იყო მომზადებული და საუცხოვო გემოცა ჰქონდათ თურმე. ამასთან თითქოს ყველაფერი ჯადო-თილისმით იყო შელოცვილიო. მაგალითად, შემწვარ მამალს რომ დანით ჰკრა დაუწყეს, მამლაყურჩა „ყიყლიყოს“ ყვიროდა. წყალში გათუთქული კომბოსტოს ყვავილი ისე ბრწყინავდა და ჭახჭახებდა, თითქოს ალმასებით და მარგალიტებით არის მორთულიო. ქიქაში რომ ღვინოს ასხამდნენ, ღვინოს ცეცხლი ეკიდებოდა და ალი ამოდიოდა, თითქოს ჰქა ჯადო ნაქნარიაო.

სტოლზე, მშვენიერ ბროლის ფეხზე, დამდგარ ბადიებში მოხდენილად ყურძენი ეგროვა. ერთი უდროვოდ წასწვდა ყურძენს, მაგრამ მაშინვე იკადრა ხელის უკანვე წამოღება. თითქოს ყურძენი შელოცვილი იყოვო, მტევანი ერთბაშად აენთო და მარცვლები ფერად-ფერად ელექტრონის ლამპრებით გაჩაღდა. სადილზე ბიჭ-მოსამსახურეები არა ყოფილან; საჭმელები თავისთავად მოდიოდა და მიდიოდა. გაათავებდნენ თუ არა ერთს საჭმელს, ცარიელ ჭურჭელს ვიღასიც უცნაური ხელი მაშინვე აალაგებდა და მეორე საჭმელს მოიტანდა. ეს უცნაური ხელი, რასაკვირველია, ელექტრონი იყო.

ასე ჩაუვლია ამ უცნაურს და საკვირველს სადილს. ასე მოგვითხრობენ ამ ამბავს ამერიკის გაზეთები. ჰკითხულობ ამას და ჰკვირობ: რა არ შეუძლიან ადამიანის ჭკუას და გონებას! რა სასწაულ-მოქმედებას არ ჩაიდენს ადამიანი მეცნიერების შემწეობით!

მოდი ამას იქით და სთქვით, მკითხველო, რომ „ყარამანიანში“ მოთხრობილი ამბავი თილისმის სახლებისა დასაჯერი არ არის და ტყუილის ოცნების ტყუილი შვილიაო! ედისონის სახლი ვითომ რაში ჩამოუვარდება იმ თილისმის სახლებს? ადამიანო, მართლა რომ ძრიელი ჰყოფილხარ!.. ქება და დიდება მეცნიერების სასწაულ-მოქმედებას!..

დონ-იაგო

გავება მდგომარეობს სარწმუნოების სხვა-და-სხვაობაში: იგინი მე-XVI მე-XVII საუკუნითგან აღიარებენ მაჰმადიანობას. ერთის გუჯრიდამ სჩანს, რომ მცხოვრებნი სოფ. ხინოსი, სადაც იჯდა ეპისკოპოსი, გამაჰმადიანებულან თითქმის არა ადრე 1780 წლისა.

მესამესა და მეოთხე წერილებში სხვა მრავალ ფრიად საინტერესო ცნობათა შორის ხალხის ყოფა-ცხოვრებაზედ, მოხსენებულია ამბავი იმ ეკკლესიებისა, რომელნიც განუხილავს თვით ბაქრაძეს ან და გიორგი ყაზბეგს *).

ამ ეკკლესიათა შორის თვით ბაქრაძეს განუხილავს და დაწვრილებით აუწერია სხალტის ტაძარი აჭარაში. სიგრძე მისი არის 9 საჟ., სიგანე კი ექვსი, კედლების სისქე თითქმის ორი არშინია. იგი აგებულია თლილის ქვით და აქვს მრავალი ჩუქურთმა. შიგ სამკვეთლის კედლები სულ მთლად დახატულია. სხვათა შორის დახატულია იესო ქრისტე, მის მარჯვენით ერთი წმიდანი, მარცხნით—მთავარ-ანგელოზი ხუცურის წარწერით... მეუფესა... რლმ... ქვემოდკენ დახატულნი არიან მოციქულნი მათის სახელების ზედ-წარწერით. თაღზედ გამოხატულია სურათი ჯვარ-ცმისა, ზედ-წარწერით: ჯვარსა ჯვარცმული... საუბედუროდ მრავალ წარწერათა შორის ქრონიკონი არ აღმოჩენილა, რომ შეგვეტყო, რა დროის შენობაა ეს ეკკლესია.

ოპიზის, ტბეთის, ფარხალის და სხ. ეკკლესიანი განუხილავს გ. ყაზბეგს თვის მოგზაურობის დროს ოსმალეთის საქართველოში 1873 წ. და მათი აღწერილობა ჩაურთავს თავის თხზულებაში «Три мѣсяца въ Турец. Грузіи». ამიტომ ჩვენც ჩვენის მხრით მკითხველებს წარვუდგენთ აღნიშნულის ტაძრების შესახებ ცნობას შემდეგ, როცა საბიბლიოგრაფიო მიმოხილვას დავწერთ თვით ამ წიგნის გამო. მხოლოდ აქ კი უნდა ვსთქვათ, რომ დიმ. ბაქრაძეს თავის წიგნისათვის დაუმატებია სურათნი, როგორც თვის მიერ განახლებულ სხალტის ეკკლესიისა, ისე გ. ყაზბეგის მიერ აღწერილ მონასტრებისა: ოპიზისა, ტბეთისა და ფარხალისა. ამ ეკკლესიების, მეტადრე ფარხალისა და ტბეთის, მშვენიერნი სურათნი წარმოგვიდგენენ გასაოცარს ხელოვნებას, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ხუროთ-მოძღვრება საქართველოში X—XIII საუკუნოების წინად ფრიად განვითარებული ყოფილა.

ეს სურათები ჩართულია ცალკე წიგნში (ატლასში), რომელშიაც ამას გარდა მოიპოვება გეოგრაფიული რუკა ჭოროხის ხეობისა, აჭარისა, გურიისა და ახალციხის მხრისა, აგრეთვე ნიმუშები ერთის აჭარელის ქალის ხელისა სხვა-და-სხვა წარწერათა, ბეჭედნი და ხელნი გურიელებისა და სხ. და ბოლოს გეგმა ვაშნარისა.

წიგნის მეხუთე თავში განიხილავს გურიელების სიგელთა და იქაურის მღვდელმთავრების გუჯრებსა. ამ გუჯრებში მრავალი საინტერესო ცნობანი მოიპოვება ქვეყნის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. სიგელებისა და გუჯრების განხილვას ჩვენ აღარ შევუდგებით, რადგან მაგდენი ადგილი არა გვაქვს გაზეთში. ვიტყვით მხოლოდ, რომ ვისაც სურს გაამდიდროს თვისი ბიბლიოთეკა ძვირფასის წიგნებითა და გაიცნოს საქართველოს ისტორია, მისი წარსული, უნდა შეიძინოს აგრეთვე ბაქრაძის აღნიშნული წიგნიც, რომლის სიკეთე და სამეცნიერო ღირსებანი, ჩვენის აზრით, ყოველსავე ეჭვს გარეშეა.

მოსე ჯანაშვილი

## გასართობი

**ფოსტის მატარებელი მტრედები.** ჩვენ ზღაპრებში ბევრჯელ გაგვიგონია, რომ უწინდელ დროში მტრედისთვის ან სხვა ფრინველებისათვის გაუტანებიათ წერილი. დღეს ეს ზღაპრული ამბავი მართლდება. 9 ოქტომბერს ბოსტონიდამ (ამერიკაშია) ერთს ამერიკელს გამოუგზავნია ლონდონში გემით ცხრა მტრედი. ეს გემი ლონდონში მოსულა ოქტომბრის დამლევს. დეკემბრის 10-დე ამ ცხრა მტრედიდამ სამი უკანვე ამერიკაში დაბრუნებულა თავის პატრონთან. ერთი ლონდონიდამ პირ-და-პირ ბოსტონში მიფრენილა თურმე, მეორე ნიუ-იორკის ახლო დაუჭერიათ, მესამე კიდე დაღლილი და დაქანცული უპოვნიათ პენსილვანიაში ალლეგანის მთებში. რადგანაც მტრედს ფრთაზე თავის პატრონის გვარი, სახელი და ადრესი ყოფილა დაჭდეული, ამიტომ მპოვნელმა პატრონს გაუგზავნა. რა იქნენ დანარჩენი მტრედები, აქამდე ჯერ ვერ შეუტყვიათ.

ნუ დაივიწყებთ, რომ ინგლისსა და ამერიკის შუა 6 ათასს ვერსზე მეტია, მაშასადამე მტრედებს ამ სიშორეზედაც გზა არ დაუკარგავთ.

**

**ხელ-მარდი ხარაზი.** ამ რამდენისამე ხნის წინად ერთი მხატვარი იყო, რომელიც ქვეყანას აკვირვებდა იმითი, რომ ათის წამის განმავლობაში საზოგადოების წინ ჰხატავდა ხოლმე დიდს, მშვენიერს სურათსა. ამ მხატვრის მიბაძვით ეხლა ერთი ბერლინელი ხარაზი 10 წამში ერთ წყვილ წაღასა ჰკერავს თურმე, დიდისთვის თუ პატარასთვის, სულ ერთია. ბერლინში ამ ახლო ხანებში შეიკრიბებიან თურმე ყველა გამოჩენილი ხელოსნები და ამ კრებაზე ეს მართლა-და გამოჩენილი ხარაზი საქვეყნოდ აჩვენებს თავის ხელ-მარდობას.

**

**გამოჩენილი ძაღლი.** გერმანიის სკულპტორს ლანდსბერგს მოუწადინია ბისმარკის გამოჩენილ ძაღლის, სახელად „ტირას"-ის სახის ჩამოსხმა. გერმანიელები ამ ძაღლს „საიმპერიო ძაღლს" ეძახიან. ამ ძაღლს ისტორიაშიაც სახელი აქვს: ეს ძაღლი თურმე რუსეთის გამოჩენილ კანცლერს გორჩაკოვს მიჰვარდა, როდესაც გორჩაკოვი ბერლინის „კონფერენციის" კრებაზე მივიდა.

**

**ალექსანდრე დიუმას როგორ უხდიან ქალები მადლობას.** როდესაც ალექსანდრე დიუმას ახალის კომედიის „Francillon"-ის პირველი წარმოდგენა გათავებულა, ავტორი ქურქში გახვეულა და არტისტების ტანთ-ჩასაცმელ ოთახთან დამდგარა. ამ დროს დიუმასთან მივიდა თურმე ერთი ახალგაზდა ქალი და დიდის ალტაცებით დაუწყო ახალ კომედიის ქება: უნდა გადაგკოცნოთ, რომ ასეთი მშვენიერი კომედია დასწერეთო. დიუმამ არც აილო, არც დაილო, ქურქის საყელო გადაიწია და მიუშვირა ლოყა საკოცნელად.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ არ იცით ვინა ვარ მეო, სთქვა ალტაცებით უცნობმა ქალმა.

— დიახ, არ გიცნობთ, უპასუხა დიუმამ, მაგრამ თქვენმა კოცნამ მაინც დიდად მასიამოვნა.

# დეპეშა

6 თებერვალი

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

**ახალციხე.** აქ საშინელი ცეცხლი გაჩნდა. დუქნები იწვის. ხალხი ათასობით ახვევია გარს. არავითარი ცეცხლის გასაქრობი იარაღი არა აქვს ქალაქს, რომ დაიხსნას სახლები გადაწვისაგან.

6 თებერვალი

**პერმი.** გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ უმაღლესის ნება-დართვით, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზისძემ ციმბირ-ურალის სამეცნიერო და სამრეწველო გამოფენის საპატიო თავჯ-მჯდომარის წოდება მიიღოო. გამოფენა გაიმართება წელს ზაფხულსა. აქაურს საზოგადოებას იმედი აქვს, რომ მისი უმაღლესობა გვესტუმრებაო და დიდს მზადებაშია მის დასახვედრადაო.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილ-ჰელმი კარგად არის; მხოლოდ გარედ არ გამოდის, რადგანაც ცუდი ამინდებია და ხმა აქვს წასულიო.

**ვენა.** დელეგაცია 1 მარტისათვის არის მოწოდებული.

**ბელგრადი.** ხორვატოვიჩი დათხოვნილ იქმნა სამხედრო მინისტრის თანამდებობიდამ და მის მაგიერ დაინიშნა ტოპოლოვიჩი, რომელიც დღემდე საჯარო და საზოგადო მუშაობათა მინისტრად იყო.

**ბერლინი** „ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო გაზეთი" ამბობს, რომ ომის განსაცდელი და შიში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაჰქრება, თუ ერი ყურს არ ათხოვებს მთავრობის მოწინააღმდეგე დასსა და პარლამენტში ისეთი უმრავლესობა შესდგება, რომელსაც დიდი სურვილი ექმნება, რომ გერმანიის უვნებლობა დაიცვასო.

6 თებერვალს.

**სტრასბურგი.** ელზას-ლოტარინგის ქალაქებსა და დაბებში ბევრგან სახლები დაუჩხრეკიათ და შეუპყრიათ დასამწყვდევად მკვიდრნი, რომელთაც სწამებენ რომ საფრანგეთთან აღკრძალული კავშირი გქონიათო.

**ბუქარესტი.** პალატაში. ბევრმა დეპუტატმა შეიტანა წინადადება, რომ ხან-დაუყოვნებლად მიეცეს მთავრობას 30 მილიონი რუმინიის დასაცველად და ნეიტრალიტეტის დაურღვევლობისათვის, თუ ვინიცობაა ევროპაში საქმე განსაცდელამდე მიაღწია. პალატამ შეიწყნარა ეს წინადადება. მთავარ-მინისტრმა ბრატიანომ გამოაცხადა, რომ მთავრობას არა სურს, რუმინია კვლავ საომარ მეიდნად შეიქმნასო.

### პეტერბურგის ბირჟა, 3-ს თებერვალს ფასები:

| | მსყიდველისა | გამსყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 10 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 176½ |
| 5% პირველის შინაგნის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | 237 » |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 229¼ |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . | — › | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ყველიერი მოდის 9 თებერვალს.

დიდმარხვა—16 თებერვალს, აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24, 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

### თებერვალი 28 დღით არის

**7 დღე შაბათი.** ღირს. პართენი ეპისკ. და ლუკა ელლადელისა, კათოლ. რომუალდასი და კლოტილდასი. სომეხ. წმ. ისაკ პართევისა. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—49, ჩადის 5—38.

**8 დღე კვირა.** წმ. დიდ. მოწ. თეოდორე სტრატილატისა და ზაქარია წინ.-მეტყველისა. ხორცით აღების ღამე. დაწყება ყველიერისა. კათოლ. იოანნასი, პავლასი და ლუციასი. სომეხ. მე-4 კვირა წყალკურთხევიდგან. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 5—39.

**9 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. ნიკიფორესი, პანკრატისა და მარკელლისა. კათოლ. აპოლლონიასი და ალექსანდრასი. სომეხ. მარკოს ეპისკ., პიონი მღვდ. და სხვათა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—47, ჩადის 5-40, მთვარე 28 დღისაა.

**10 დღე სამშაბათი.** წმ. მოწ. ხარლამპი მღვდ., პორფირისა. წმ. ანასტასი ეპისკ. და სხ. კათოლ. ირინიასი. სომეხ. წმ. ღევონდიან მღვდელთა. მუსულ. მე-30 რიცხვი თვისა ჯემად-ულ ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 5—42.

**11 დღე ოთხშაბათი.** მოწ. ეპისკ. ვლასისა. კათოლ. ევფოსინისა და ლუციანასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—44, ჩადის 5—43. დაბადება მთვარისა დილის 12 საათსა და 44 წუთზედ.

**12 დღე ხუთშაბათი.** მელეტ. არხიეპისკ., წმ. შიო მღვიმელისა. კათოლ. ევლიალისა და პეტრესი. სომეხ. ვარდანიან მხედართ-მთავართა, 1036 მოწამეთა სომეხთა. ქუთაისში დაარსდა გიმნაზია, 1850 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—15, ჩადის 5—45.

### გამოსადეგი ცნობანი

#### ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 |
| › 2 › | 2½ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 › |
| › › 2— | 3½ › |
| › › 3 › | 3 › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1 ლის ხარისხისა . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 › |
| მე-3 — . . . | 3½ › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 › |
| › 2 › | 7 › |
| სუკი. . . . | 14 › |
| ცხვრის ხორცი . . . . | 9 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 8 › |
| › 2 › | 7 › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღეოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

# განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ, თავის გარდაწყვეტილების ძალით, დანიშნა საჯაროდ გასასყიდავად თავისავე სამმართველოში უძრავი მამული, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულს ტფილისის მოქალაქეს იოსებ ყაზაროვს და რომელიც იმყოფება რეუტოვის შესახვევში, ქალაქ ტფილისის მე-9 ნაწილში. ეს უძრავი მამული არის ერთ-სართულიანი სახლი ფერნით და, მიწა-ეზოთი სულ 45 ოთხკუთხი საჟენია და დაფასებულია 1,800 მანათად იმ სახაზინო ვალის შესავსებლად, რომელიც ირიცხება ყაზაროვზე. ამ მამულის გასყიდვის ვადა დანიშნულია 2 მაისს ამა 1887 წელს, დილის 11 საათზედ. მეორედ ვაჭრობა იქნება სამს დღეს უკან. ამიტომ, ვისაც ჰსურს იყიდოს ეს მამული, უნდა გამოცხადდეს აღნიშნულს ვადაზე საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში, სადაც შეეძლება იხილოს დაწვრილებით შედგენილი აღწერილობა ამ მამულისა და ყოველივე ქაღალდები მამულის გასყიდვის შესახებ. (3—2)

### ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოესი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავადაზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

---

*) იხ. „Три мѣсяца въ Турец. Грузіи", გ. ყაზბეგისა.

Дов. ценз. Тиф. 6 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე